შეტყობინება სააქციო საზოგადოება „ჯორჯიან ქარდის“
რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის თაობაზე

01 დეკემბერი 2025 წ. ქ. თბილისი

2025 წლის 24 დეკემბერს 11:00 საათზე ქ. თბილისში, მისამართზე: თბილისი, ბელიაშვილი ქ.N53 ჩატარდება სს „ჯორჯიან ქარდის“ („კომპანია“) (ს/კ:204396377), (მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ბელიაშვილის ქუჩა, №53,) რიგგარეშე საერთო კრება.

საერთო კრების მოწვევის ფორმა:

საერთო კრება მოიწვევა სს ჯორჯიან ქარდის მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიანი ელექტრონულ პორტალზე კომპანიისადმი მიკუთვნებულ მეწარმის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე და კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.gc.ge გამოქვეყნებით.

აქციათა რაოდენობა და ხმის უფლება:

საერთო კრების მოწვევის თარიღისთვის **კომპანიის** გამოშვებულ და განთავსებულ აქციათა საერთო რაოდენობა არის 10 775 344 ცალი ჩვეულებრივი აქცია. საერთო კრებაზე თითოეული ჩვეულებრივი აქცია (გარდა სახაზინო აქციებისა, რომლებზეც არ არსებობს ხმის უფლება) მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას, შესაბამისად, აქციონერთა კრებაზე მოწვეულია **10 775 344 ხმის უფლების მქონე აქცია.**

სააღრიცხვო დღე და რეგისტრატორი:

საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განსაზღვრულია **2025 წლის 18 დეკემბერი.** საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც **კრების სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან** სს ჯორჯიან ქარდის აქციათა ოფიციალურ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან, **სს „ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორთან“.**

კრების ჩატარების წესი:

რიგგარეშე საერთო კრება ტარდება წინამდებარე შეტყობინებაში მითითებულ მისამართზე და დროს. აქციონერთა საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; მისი არყოფნისას – თავმჯდომარის მოადგილე; ხოლო თავმჯდომარის მოადგილის არყოფნისას – გენერალური დირექტორი.

კრებაში მონაწილეობის წესი:

აქციონერი, რომელიც კრების სააღრიცხვო დღეს ასეთად მითითებულია **სს „ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორის“** მიერ წარმოებულ **კომპანიის** აქციონერთა რეესტრში, უფლებამოსილია დაესწროს კრებას. კრებაზე დასწრებისათვის საჭიროა აქციონერმა წარმოადგინოს პირადობის (ან და იურიდიული პირის შემთხვევაში წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების) დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ემთხვევა **სს „ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორში“** მითითებულ საიდენტიფიკაციო მონაცემებს.
აქციონერი ასევე უფლებამოსილია, კრების ჩატარებამდე წერილობით წარუდგინოს კრების დღის წესრიგში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მისი ნოტარიულად დამოწმებული გადაწყვეტილება. საერთო კრება ვალდებულია, ასეთი აქციონერის ხმები შესაბამისად გაითვალისწინოს კენჭისყრის შედეგებში.

აქციონერთა კრებაზე წარმომადგენლის დანიშვნა:

აქციონერი უფლებამოსილია გადასცეს თავისი უფლებები სხვა აქციონერს, ან სხვა მესამე პირებს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ აქციონერის რწმუნებული პირი ვერ წარმოადგენს ამგვარ რწმუნებულებას, მას ჩამორთმეულ ექნება კრებაზე დასწრებისა და ხმის მიცემის უფლება. წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინება ხდება წერილობით ან ელექტრონულად. წარმომადგენელს აქვს საერთო კრებაზე სიტყვით გამოსვლისა და შეკითხვების დასმის იგივე უფლებები, რომლებიც მის მიერ წარმოდგენილ აქციონერს ექნებოდა. წარმომადგენელი ვალდებულია გაამჟღავნოს აქციონერების მიერ იმ რისკის შესაფასებლად საჭირო ფაქტები, რომ წარმომადგენელმა შეიძლება განახორციელოს არა აქციონერის, არამედ სხვა პირის ინტერესები. წარმომადგენელმა ხმა უნდა მისცეს მის მიერ წარმოდგენილი აქციონერის ინსტრუქციების შესაბამისად. თუ რამდენიმე აქციონერის წარმომადგენელი ერთი და იგივე პირია, მას უფლება აქვს, სხვადასხვა აქციონერისთვის სხვადასხვაგვარად მისცეს ხმა.

საერთო კრების კვორუმი:

საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია და ქვორუმი შემდგარია, თუ კრებას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა სულ მცირე ნახევარი. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადაში მოიწვევა ახალი კრება იგივე დღის წესრიგით. ახალი კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა სულ მცირე 25% (ოცდახუთი პროცენტი). თუ კრება კვლავაც არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადაში მოიწვევა ახალი კრება იგივე დღის წესრიგით. აღნიშნული კრება გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრე ან წარმოდგენილი აქციონერების რაოდენობის მიუხედავად.
თუ აქციონერი კრებამდე **კომპანიას** წარუდგენს წერილობით, ნოტარიულად დამოწმებულ გადაწყვეტილებას საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ მისი დასწრება საერთო კრებაზე აუცილებელი არ არის, და საერთო კრება ვალდებულია, ასეთი აქციონერის ხმები, მის საკუთრებაში არსებულ ხმის უფლების მქონე აქციათა რაოდენობის შესაბამისად გაითვალისწინოს კენჭისყრის შედეგებში.

საერთო კრებაზე კენჭისყრისა და ხმის მიცემის წესი:

საერთო კრებაზე ხმის მიცემა ხდება ღია კენჭისყრის პრინციპით. დღის წესრიგის თითოეულ საკითხს კენჭი ეყრება დამოუკიდებლად. თითოეული დამსწრე აქციონერი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს, შეეწინააღმდეგოს, ან თავი შეიკავოს დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან მიმართებით შემოთავაზებულ გადაწყვეტილებას. თუ აქციონერი კრებამდე **კომპანიას** წარუდგენს წერილობით, ნოტარიულად დამოწმებულ გადაწყვეტილებას საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ მისი დასწრება საერთო კრებაზე აუცილებელი არ არის, და საერთო კრება ვალდებულია, ასეთი აქციონერის ხმები, მის საკუთრებაში არსებულ ხმის უფლების მქონე აქციათა რაოდენობის შესაბამისად გაითვალისწინოს კენჭისყრის შედეგებში.

საერთო კრებისათვის შეთავაზებული ხმების დათვლის წესი:

საერთო კრებას დაესწრება და ხმების დათვლის პროცესს უზრუნველყოფს კრების მდივანი.

<u>საერთო კრების დღის წესრიგი:</u>

1. სს „ჯორჯიან ქარდი“- ს წესდების განახლებული რედაქციის დამტკიცება ;
2. სს „ჯორჯიან ქარდი-ს სადამფუძნებლო შეთანხმების დამტკიცება;
3. შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია;

<u>საერთო კრებას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:</u>

1. საერთო კრების გადაწყვეტილების პროექტი (სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წინადადება) წარმოდგენილია დანართი 1-ში;
2. წესდების განახლებული პროექტი;
3. სადამფუძნებლო შეთანხმების პროექტი;

<u>საერთო კრებისათვის შეთავაზებული გადაწყვეტილებები/წინადადება:</u>

1. განახლდეს და დამტკიცდეს სს „ჯორჯიან ქარდი“- ს წესდების ახალი რედაქცია და ხელი მოეწეროს სს „ჯორჯიან ქარდი“-ს გენერალური დირექტორის მიერ;
2. დამტკიცდეს სს „ჯორჯიან ქარდის“ სადამფუძნებლო შეთანხმება და ხელი მოეწეროს სს „ჯორჯიან ქარდი“-ს გენერალური დირექტორი მიერ;
3. უფლებამოსილება მიენიჭოს მარიამ ობოლაძეს (პირადი N 01030043260), რათა ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს კომპანიის სახელით ზემოთხსენებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, გადაიხადოს დადგენილი საფასური და შეასრულოს ნებისმიერი ქმედება, რაც საჭიროა წინამდებარე გადაწყვეტილების კანონით დადგენილი წესით გაფორმება/რეგისტრაციისთვის.

დღის წესრიგში შემავალი საკითხების გადასაწყვეტად საჭირო ხმათა რაოდენობა:

კომპანიის წესდების შესაბამისად, კრების დღის წესრიგში გათვალისწინებული 1-ლ მე-2, და მე-3 საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმების სულ მცირე ¾ -ის უმრავლესობით;

დღის წესრიგის ცვლილება/საკითხების დამატება:

ხმის უფლების მქონე აქციათა საერთო რაოდენობის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს და:

ა) მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი;

ბ) წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

ხმის უფლების მქონე აქციათა სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, წარადგინოს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის კანდიდატურა, თუ იგი რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების დღემდე სულ მცირე 14 დღით ადრე წარუდგენს სათანადო განცხადებას/წინადადებას ხელმძღვანელ ორგანოს. ეს წინადადება უნდა შეიცავდეს აღნიშნული კანდიდატებისთვის კანონით დადგენილ საიდენტიფიკაციო მონაცემებს.

თუ „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა იწვევს საერთო კრების იმ დღის წესრიგში ცვლილების შეტანას, რომელიც უკვე მიეწოდა აქციონერებს, სააქციო საზოგადოება ვალდებულია აქციონერებს საერთო კრების სააღრიცხვო დღემდე მიაწოდოს განახლებული დღის წესრიგი. თუ საერთო კრების განახლებული დღის წესრიგის აქციონერებისთვის მიწოდების ვალდებულება სააღრიცხვო დღის შემდეგ წარმოიშობა, იგი მიწოდებული უნდა იქნეს საერთო კრების ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე, რათა აქციონერებს საშუალება ჰქონდეთ, დანიშნონ წარმომადგენლები ან ხმა მისცენ წერილობით.

სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ შეთავაზებული საკითხი შესაბამისი განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა შეიტანოს საერთო კრების დღის წესრიგში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დარღვეულია განცხადების წარდგენის ვადა ან საკითხი არ განეკუთვნება საერთო კრების კომპეტენციას.

აქციონერთა უფლებები ინფორმაციაზე:

საერთო კრების მიმდინარეობისას საერთო კრების მონაწილე აქციონერს უფლება აქვს, მისი დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს/პირებს დაუსვას შეკითხვები და მოსთხოვოს ამ საკითხების სათანადოდ განხილვისა და შეფასებისთვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია.

სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია აქციონერის შეკითხვებს უპასუხოს და მას მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად მიაწოდოს. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს, აქციონერს უარი უთხრას მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე, თუ:

ა) შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამ სააქციო საზოგადოებას შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს;

ბ) შესაბამისი ინფორმაციის გაცემით კონფიდენციალური ინფორმაცია გამჟღავნდება;

გ) დასმულ შეკითხვას პასუხი საერთო კრების დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე კითხვა-პასუხის ფორმატით აქვს გაცემული.

ინფორმაციის მიწოდებაზე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უარი შეიძლება საერთო კრების ოქმის შედგენიდან 15 დღის ვადაში გასაჩივრდეს სასამართლოში.

საერთო კრების გადაწვეტილებისა და მასალების გამოქვეყნების წესი და გაცნობის შესაძლებლობა:

აქციონერთა საერთო კრების ნოტარიულად დამოწმებული გადაწყვეტილება გამოქვეყნდება **კომპანიის** საჯარო რეესტრის პორტალზე და **კომპანიის** ვებ გვერდზე. საერთო კრების მასალების სრულად გაცნობა შესაძლებელია სს „ჯორჯიან ქარდის“ იურიდიულ მისამართზე წინამდებარე შეტყობინების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში.

ვიგენ ბაღდასაროვი
გენერალური დირექტორი

სს „ჯორჯიან ქარდის“ (ს/კ 204396377) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი

24 დეკემბერი 2025წ. ქ. თბილისი

2025 წლის 24 დეკემბერს 11:00 საათზე ქ. თბილისში, დიდუბის რაიონი, ბელიაშვილის ქუჩა, №53-ში გაიმართა **სს „ჯორჯიან ქარდის“** (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, ს/კ 204396377, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ბელიაშვილის ქუჩა, №106, სართული 1, ფართი №11) (შემდგომში - **„კომპანია“**) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება. **საერთო კრებაზე მოწვეული იყო 10 775 344 ხმის უფლების მქონე აქცია.**

1. **კრების გახსნამდე განხილული და გადაწყვეტილი ტექნიკური საკითხები:**

1.1. დამსწრეთა რეგისტრაცია და იდენტიფიკაცია

კრებისათვის აქციონერთა და სხვა დამსწრეთა იდენტიფიკაციას, მათი უფლებამოსილებების ვერიფიკაციას და კრების მონაწილედ შესაბამისად მათ რეგისტრაციას ახორციელებდნენ: [●], [●],[●].

რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის პროცესი დაიწყო 11:00 საათზე და დასრულდა [●] საათზე.

1.1.1. დამსწრე აქციონერები

რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის შედეგად დადგინდა, რომ კრებაზე დასასწრებად გამოცხადდნენ **<u>კომპანიის</u>** <u>შემდეგი აქციონერები</u> (პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, როგორც ეს ქვემოთაა აღნიშნული), <u>რომლებიც საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, 2025 წლის 18 დეკემბერი</u> შესაბამისად ირიცხებოდნენ **კომპანიის** აქციონერებად **კომპანიის** აქციათა ოფიციალურ რეგისტრატორთან, **სს „ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორთან“**:

1. [●].
   a. **[●] ფლობს [●] ცალ ჩვეულებრივ აქციას - [●]%-ს კომპანიის კაპიტალში.**
2. [●].
   a. **[●] ფლობს [●] ცალ ჩვეულებრივ აქციას - [●]%-ს კომპანიის კაპიტალში.**

ჯამურად, საერთო კრებაზე წარმოდგენილი უფლებამოსილ ჩვეულებრივ აქციათა რაოდენობა:

[●] ცალი ჩვეულებრივი აქცია, განთავსებულ ხმის უფლების მქონე აქციათა [●]%.

1.1.2. სხვა დამსწრე პირები

<u>რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის შედეგად დადგინდა, რომ კრებაზე დასასწრებად ასევე გამოცხადდნენ:</u>

<u>1.</u> [●];
<u>2.</u> [●];
<u>3.</u> [●]

2. **საერთო კრების ჩატარების და ხმის მიცემის ფორმა:**

საერთო კრება ჩატარდა სს "ჯორჯიან ქარდის" ფაქტობრივ მისამართზე - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ბელიაშვილის ქუჩა, №53.
ხმის მიცემა განხორციელდა ზეპირი ფორმით, ღია კენჭისყრის საფუძველზე.

3. <u>დღის წესრიგი:</u>

1. სს „ჯორჯიან ქარდი"- ს წესდების განახლებული რედაქციის დამტკიცება ;
2. სს „ჯორჯიან ქარდი-ს სადამფუძვნებლო შეთანხმების დამტკიცება;
3. შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია;

4. <u>**საერთო კრებას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**</u>

1. საერთო კრების გადაწყვეტილების პროექტი;

5. <u>**დღის წესრიგში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით „აქციონერების" მიერ მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:**</u>

<u>1 საკითხი -</u> **სს „ჯორჯიან ქარდი"- ს წესდების განახლებული რედაქციის დამტკიცება;**

განახლდეს და დამტკიცდეს სს „ჯორჯიან ქარდი"-ს წესდების განახლებული რედაქცია და ხელი მოეწეროს სს „ჯორჯიან ქარდი"-ს გენერალური დირექტორი მიერ;

დამსწრეთა [●]% - [●] ხმა - დადებითი;
დამსწრეთა [●]% - [●] ხმა - უარყოფითი;
დამსწრეთა [●]% - [●] ხმა - თავი შეიკავა.

<u>2 საკითხი -</u> **სს „ჯორჯიან ქარდი-ს სადამფუძვნებლო შეთანხმების განახლებული რედაქციის დამტკიცება;**

დამტკიცდეს სს „ჯორჯიან ქარდი-ს სადამფუძვნებლო შეთანხმება და ხელი მოეწეროს სს „ჯორჯიან ქარდი"-ს გენერალური დირექტორი მიერ;

დამსწრეთა [●]% - [●] ხმა - დადებითი;
დამსწრეთა [●]% - [●] ხმა - უარყოფითი;
დამსწრეთა [●]% - [●] ხმა - თავი შეიკავა.

<u>3 საკითხი -</u> **შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია**

1. უფლებამოსილება მიენიჭოს მარიამ ობოლაძეს (პირადი N 01030043260), რათა ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს კომპანიის სახელით ზემოთხსენებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, გადაიხადოს დადგენილი საფასური და შეასრულოს ნებისმიერი ქმედება, რაც საჭიროა წინამდებარე გადაწყვეტილების კანონით დადგენილი წესით გაფორმება/რეგისტრაციისთვის.

დამსწრეთა [●]% - [●] ხმა - დადებითი;

დამსწრეთა [●]% - [●] ხმა - უარყოფითი;
დამსწრეთა [●]% - [●] ხმა - თავი შეიკავა.

_____

საერთო კრების თავმჯდომარე

_____

საერთო კრების მდივანი

_____

ნოტარიუსი

სადამფუძნებლო შეთანხმება

(სააქციო საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემები/სარეგისტრაციო განაცხადი)

* - სიმბოლოთი აღნიშნული ველების შევსება სავალდებულოა

სამართლებრივი ფორმა --- სააქციო საზოგადოება

***საფირმო სახელწოდება - სააქციო საზოგადოება „ჯორჯიან ქარდი“**
უნდა განისაზღვროს ქართულ ენაზე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვლისწინებული წესით

*** საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე - Joint Stock Company “GEORGIAN CARD”**
უნდა შეესაბამებოდეს ქართულ ენაზე განსაზღვრულ სახელწოდებას

*** იურიდიული მისამართი** - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ბელიაშვილის ქუჩა, №53;
საზოგადოების ფიზიკური (ფაქტობრივი) მისამართი

*** დამფუძნებლები/აქციონერები**
ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი. აღნიშნული ველის შევსება სავალდებულოა, მხოლოდ სააქციო საზოგადოების დაფუძნების მომენტისთვის

სს „ჯორჯიან ქარდი“ უკვე დაფუძნებულია.

ხელმძღვანელი ორგანო - გენერალური დირექტორი
ხელმძღვანელი ორგანოს დასახელება (მაგ. დირექტორი, დირექტორატი, დირექტორთა საბჭო, პრეზიდიუმი და სხვა)

***ხელმძღვანელი ორგანოს წევრი/წევრები**
ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი; უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია).

1. ვიგენი ბაღდასაროვი (პირადი ნომერი: 01012004082, დაბადების თარიღი: 31.03.1979, მისამართი: თბილისი გივი კარტოზიას ქ. N 8 კორ. 4 ბ. 15)-გენერალური დირექტორი.

***ხელმძღვანელი ორგანოს წევრების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები**
უნდა მიეთითოს წევრები ერთობლივად (ერთად) წარმოადგენენ საზოგადობას, თუ ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე). თუ ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს აქვთ განსხვავებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, უნდა მიეთითოს თითოეული წევრის უფლებამოსილება.

გენერალურ დირექტორს აქვს საზოგადოების სრული წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება, მას უფლება აქვს იმოქმედოს საზოგადოების სახელით მინდობილობის გარეშე, წარმოადგინოს საზოგადოება ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში ყველა სახელმწიფო ორგანოს ან სხვა მესამე მხარეების წინაშე და გასცეს მინდობილობები.

*** სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი**
რამდენიმე ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მხოლოდ ერთი პირი

ვიგენი ბაღდასაროვი (პირადი ნომერი: 01012004082, დაბადების თარიღი: 31.03.1979, მისამართი: თბილისი გივი კარტოზიას ქ. N 8 კორ. 4 ბ. 15)-გენერალური დირექტორი.

*** სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი**

ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი

(ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინული შრიფტით)

vbagdasarov@bog.ge

(საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)

+995577544544

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს **არსებობის შემთხვევაში** უნდა მიეთითოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა და საბჭოს წევრები

სამეთვალყურეოს საბჭო შედგება 3 (სამი) წევრისგან

(რაოდენობა)

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი; უფლებამოსილების ვადა, თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია.

1. **მიხეილ გომართელი** (საქართველოს მოქალაქე, დაბადების თარიღი: 31.07.1975, პირადი ნომერი: 01007008711, მისამართი: თბილისი ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N 24გ ბ. 226) - **სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ანა კოსტავა** (საქართველოს მოქალაქე, დაბადების თარიღი: 11.02.1990, პირადი ნომერი: 60001122897, მისამართი: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, დიმიტრი მჭედლიძის ქუჩა, N 16);
3. **დავით დავითაშვილი** (საქართველოს მოქალაქე, დაბადების თარიღი: 07.08.1982, პირადი ნომერი: 01001017835, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 5, ბინა 13).

კაპიტალი

ნებადართული კაპიტალი შეადგენს 12,000,000 (თორმეტი მილიონი) ლარს

(კაპიტალის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც შპს-ს შეუძლია მომავალში მიიღოს წილების განთავსების გადაწყვეტილება) -არსებობის შემთხვევაში

*განთავსებული კაპიტალი შეადგენს 10,775,344 (ათი მილიონ შვიდას სამოცდათხუთმეტი ათას სამას ორმოცდაოთხი) ლარს

(განთავსებული კაპიტალი არის სამეწარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფულადი ოდენობა, რომელიც უნდა იყოს სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული აქციების ნომინალური ღირებულებათა ჯამის ტოლი. სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის მომენტისთვის უნდა შეადგენდეს სულ მცირე 100 000 ლარს.)

*განაღდებული კაპიტალი შეადგენს 10,775,344 (ათი მილიონ შვიდას სამოცდათხუთმეტი ათას სამას ორმოცდაოთხი) ლარს

(სააქციო საზოგადოების დაფუძნების მომენტისთვის განთავსებული კაპიტალის განაღდებული ნაწილის ოდენობა, ანუ განთავსებული კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი.განაღდებული კაპიტალი ფულადი სახით უნდა იყოს შევსებული და იგი უნდა შეადგენდეს განთავსებული კაპიტალის სულ მცირე 25%-ს)

ნებადართული კაპიტალის არსებობის შემთხვევაში, აქციების ნომინალური ღირებულება არის 1 (ერთი) ლარი

არსებობის შემთხვევაში აქციათა კლასი

ჩვეულებრივი აქცია - კლასი
(კლასის დასახელება)
..... კლასი
(კლასის დასახელება)

არსებობის შემთხვევაში დაფუძნების მომენტისთვის ნომინალური ღირებულების მქონე განთავსებული აქციების რაოდენობა და მათი ნომინალური ღირებულება

აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეთითოს თითოეული კლასის აქციასთან მიმართებით, თუ განსხვავებული კლასის აქცია არსებობს. გამოხატული უნდა იყოს მთელი რიცხვით

დაფუძნების მომენტისთვის ნომინალური ღირებულების მქონე განთავსებული აქციების რაოდენობა არის 10,775,344 (ათი მილიონ შვიდას სამოცდათხუთმეტი ათას სამას ორმოცდაოთხი) ერთეული და 1 აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი

***არაფულადი შენატანის სანაცვლოდ გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულება, ხოლო, ნომინალური ღირებულების გარეშე გამოშვებული აქციების შემთხვევაში, მათი რაოდენობა, შენატანის სახე და შენატანზე ვალდებული პირის სახელი/სახელწოდება**

აღნიშნული ველის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაში თუ სააქციო საზოგადოებას წესდებით არაფულადი შენატანის განხორციელება არ არის აკრძალული.

არ არსებობს.

***დაფუძნებასთან, აგრეთვე ლიცენზიის/ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებულ იმ არსებული ან სავარაუდო ხარჯები, რომლებიც უნდა გაიღოს სააქციო საზოგადოებამ**

საზოგადოება დაფუძნებულია

***დაფუძნების, აგრეთვე ლიცენზიის/ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელებაში პროცესში მონაწილე პირთა მიერ სააქციო საზოგადოებისგან მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებელი**

საზოგადოება დაფუძნებულია

დანართი:

დამფუძნებლების/პარტნიორების მიერ შემუშავებული სამეწარმეო საზოგადოების წესდება, რომელიც წარმოადგენს სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს

ხელმოწერილია აქციონერთა კრების თავმჯდომარის მიერ

ვიგენი ბაღდასაროვი (პირადი ნომერი: 01012004082) ხელმოწერა

_____

თარიღი: 24.12.2025წ.

დამტკიცებულია 2025 წლის 24 დეკემბერს
აქციონერთა კრების მიერ

სააქციო საზოგადოება
„ჯორჯიან ქარდი“

წ ე ს დ ე ბ ა

თბილისი

2025 წ.

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

1.1. სააქციო საზოგადოება „ჯორჯიან ქარდი“ (შემდგომში „საზოგადოება“) შექმნილია ,“მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისი დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

1.2. საზოგადოება არის იურიდიული პირი. საზოგადოების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე „წესდებით“, საქართველოს კანონით“მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს ყველა სხვა შესაბამისი კანონებით.

1.3. საზოგადოებას აქვს საფირმო სახელწოდება, ბეჭედი, ლოგო და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები:

- სრული დასახელება ქართულად: **სააქციო საზოგადოება „ჯორჯიან ქარდი“;**
- სრული დასახელება ინგლისურად: **Joint Stock Company “GEORGIAN CARD”.**

1.4. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ბელიაშვილის ქუჩა, №53;

1.5. საზოგადოების საქმიანობის ვადა განუსაზღვრელია.

1.6. საზოგადოების სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. ის შეადგენს 12 თვეს, იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს. პერიოდი საზოგადოების რეგისტრაციიდან რეგისტრაციის წლის 31 დეკემბრამდე ქმნის ერთ ნაკლულ სამეურნეო წელს.

1.7. საზოგადოების შექმნის მიზანია: არაერთჯერადი და დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღება.

1.8. საზოგადოებას გააჩნია განცალკევებული ქონება, შეუძლია თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოებში.

1.9. საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტო) საქართველოსა და უცხოეთის საბანკო დაწესებულებებში.

1.10. საზოგადოება პასუხს არ აგებს მისი აქციონერების ვალდებულებებზე, ხოლო აქციონერები საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ საზოგადოების, კაპიტალში თავიანთი შენატანის ფარგლებში.

1.11. საზოგადოებას შეუძლია შექმნას ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა სტრუქტურული ერთეულები, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე უცხოეთის ქვეყნებში.

1.12. საზოგადოება უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს იმავე ან მსგავსი მიზნების მქონე საზოგადოებებში.

მუხლი 2

საქმიანობის საგანი

2.1. საზოგადოების, როგორც გამორჩეულად მნიშვნელოვანი სისტემი ოპერატორის საქმიანობის საგანია:

- ლოკალურ საბარათე სქემაში ჩართული საბარათე ინსტრუმენტის ემიტირება და ლოკალურ საბარათე სქემაში ჩართული საბარათე ინსტრუმენტით საბარათე ოპერაციის შესრულება;

- საერთაშორისო საბარათე სქემაში ჩართული საბარათე ინსტრუმენტის ემიტირება და ამ საბარათე ინსტრუმენტით საბარათე ოპერაციის შესრულება;
- საერთაშორისო საბარათე სქემის მიერ "სისტემის მონაწილისთვის" გაცემული ექვაირინგის ლიცენზიის საფუძველზე, საერთაშორისო საბარათე სქემაში ჩართული ნებისმიერი საბარათე ინსტრუმენტებით საბარათე ოპერაციის მიმღების სასარგებლოდ დამუშავება;
- ყველა იმ დამატებითი ფუნქციის შესრულება , რომელიც პლასტიკური ბარათებისთვისაა დამახასიათებელი.

2.2. საქმიანობის იმ სახეების განსახორციელებლად, რომლებიც ექვემდებარება ლიცენზირებას, საზოგადოება ვალდებულია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს ლიცენზია.

2.3. საზოგადოებას შეუძლია, აქციონერთა შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელება.

2.4. საზოგადოების , როგორც გამორჩეულად მნიშვნელოვანი სისტემის ოპერატორის მიზნები:

2.5. - საზოგადოებას გააჩნია დოკუმენტირებული მიზნები, რომლებშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სისტემის ეფექტიანობისა და უსაფრთხოების საკითხებს. საზოგადოების მიზნები მკაფიოდ ითვალისწინებს ფინანსური სტაბილურობის მხარდაჭერას და მასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ინტერესებს, მათ შორის, ღია და ეფექტიანი ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებას და საზოგადოებრივ ინტერესებს;

მუხლი 3

კაპიტალი და აქციები

3.1. საზოგადოების ნებადართული კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება 12, 000, 000 (თორმეტი მილიონი) ლარით, რომელიც დაყოფილია 12, 000, 000 (თორმეტი მილიონი) ჩვეულებრივ აქციად.

3.2. ერთი ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 (ერთი) ლარს. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე თითოეული ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას.

3.3. საზოგადოებას უფლება აქვს კანონით გათვალისწინებული წესით გამოუშვას შეღავათიანი (პრივილეგირებული) აქციები. ამგვარი პრივილეგირებული აქციები უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით, რომლის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება წესდებით და/ან სათანადო ემისიის პროსპექტით არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. პრივილეგირებული აქციები არ იძლევიან ხმის უფლებას საერთო კრებაზე.

3.4. საზოგადოების მიერ საზოგადოების აქციათა რეესტრის წარმოება უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

3.5. საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდის ან შემცირების შესახებ. განთავსებული კაპიტალის გაზრდა შესაძლებელია ახალი აქციების გამოშვების, საზოგადოების საკუთარი ქონების გამოყენებით ახალი აქციების გამოშვების და განთავსების, საზოგადოების საკუთარი ქონების გამოყენებით განთავსებული აქციების ნომინალური ღირებულების მომატების ხარჯზე ახალი აქციების გამოშვების და განთავსების გზით. განთავსებული კაპიტალი შეიძლება შემცირდეს აქციათა ნომინალური ღირებულების ან ნომინალურ ღირებულებაზე მეტი (თუ საზოგადოებას განთავსებული აქვს როგორც ნომინალური ღირებულების მქონე აქციები, ისე ნომინალური ღირებულების არმქონე აქციები) ღირებულების შემცირების ან აქციათა საერთო რაოდენობის შემცირების, მათ შორის, საზოგადოების მიერ განთავსებული აქციების ნაწილის გამოსყიდვისა და გაუქმების, შემთხვევაში. ახლად გამოშვებული აქციის შესასყიდი ფასი არ უნდა იყოს მის ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლები. განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ

გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს ცვლილების განხორციელების საფუძველი, წესი და შესაბამისი თანხა. ეს გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს აგრეთვე ინფორმაციას განსათავსებელი ან გასაუქმებელი აქციების რაოდენობისა და ნომინალური ღირებულების შესახებ, თუ აქციის ღირებულება განსაზღვრულია. საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვა დასაშვებია შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

3.6. კაპიტალის გაზრდა შეიძლება განხორციელდეს სარეზერვო ფონდების კაპიტალად გარდაქმნით. ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების აკრძალვა.

მუხლი 4

საზოგადოების აქციონერები

4.1. საზოგადოების აქციონერებს წარმოადგენენ პირები, რომლებიც ფლობენ საზოგადოების აქციებს თანახმად დადგენილი წესისა და რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში.

4.2. აქციონერებს (ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს) უფლება აქვთ:

4.2.1. დაესწრონ აქციონერთა საერთო კრებას ან წარმოდგენილნი იყვნენ მასზე და მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში;

4.2.2. მიიღონ ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ, შეამოწმონ მისი ანგარიშები, ჩანაწერები და სხვა დოკუმენტაცია (თანახმად შესაბამისი კანონმდებლობის სათანადო დებულებებისა);

4.2.3. მონაწილეობა მიიღონ მოგების განაწილებაში და მიიღონ დივიდენდები მათ მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობის პროპორციულად;

4.2.4. განკარგონ საკუთარი აქციები;

4.2.5. საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში, მიიღონ იმ ქონების წილი ან მისი ღირებულება, რომელიც დარჩება კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ (მათი სალიკვიდაციო ქვოტა) მათი წილის პროპორციულად;

4.2.6. აქციების საერთო რაოდენობის ხუთი პროცენტის მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანი წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ არსებობს ეჭვი რაიმე დარღვევის თაობაზე;

4.2.7. აქციების საერთო რაოდენობის ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერებს (აქციონერთა ჯგუფს) უფლება აქვთ მოითხოვონ აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევა. მოთხოვნა წერილობით უნდა წარედგინოს საზოგადოების ხელმძღვანელობას. თუ აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა ხელმძღვანელი ორგანოს მიერ ასეთი მოთხოვნის თარიღიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში, მაშინ აღნიშნულ აქციონერთა განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება და დანიშნოს საერთო კრების თავმჯდომარე.

4.2.8. აქციონერებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი ხმის უფლება საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება შეეხება მათთან გარიგების დადებას ან მათი ანგარიშის დამტკიცებას;

4.2.9. თუ საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების და პროცედურის დაცვით.

4.3. საზოგადოების აქციონერები ვალდებულნი არიან:

4.3.1. უზრუნველყონ მათი შესაბამისი შენატანების შეტანა საზოგადოების კაპიტალში, რათა აქციების შესაბამისი რაოდენობა რეგისტრირებული იქნას მათ სახელზე;

4.3.2. არ განაცხადონ საზოგადოების კომერციული საიდუმლოებები და სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია;

4.3.3. დაიცვან წინამდებარე წესდებით განსაზღვრული პირობები;

4.3.4. შეასრულონ აქციონერთა საერთო კრების და სხვა მმართველობითი ორგანოების მიერ, მათი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები.

მუხლი 5

მოგების განაწილება და ზარალის ანაზღაურება

5.1. მოგების განაწილების წესი:

5.1.1. ფინანსური წლის დასრულებიდან ორი თვის განმავლობაში, გენერალურმა დირექტორმა უნდა მოამზადოს წინადადება მოგების განაწილების თაობაზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებლად. მოგების განაწილების თაობაზე წინადადებაზე შეთანხმების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭომ და გენერალურმა დირექტორმა უნდა წარუდგინონ საერთო კრებას ერთობლივი წინადადება; ხოლო აღნიშნულ საკითხზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, გენერალურმა დირექტორმა და სამეთვალყურეო საბჭომ უნდა წარადგინონ დამოუკიდებელი წინადადებები. მოგების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს/დამტკიცდეს აქციონერთა საერთო კრების მიერ.

5.1.2. აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, წმინდა მოგება, მიმართული დივიდენდების გადახდაზე, უნდა განაწილდეს 5.2 მუხლით განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აქციონერებს არ აქვთ უფლება რაიმე სხვა სახის ანაზღაურებასა, თუ კომპენსაციაზე.

5.2. დივიდენდების გადახდა:

5.2.1. აქციონერთა საერთო კრება ადგენს სააღრიცხვო თარიღს (შემდგომში "დივიდენდის სააღრიცხვო თარიღი"), რომელიც უნდა იყოს საერთო კრების ჩატარებიდან სულ მცირე 3 (სამი) დღის შემდეგ და უნდა ემთხვეოდეს სამუშაო დღეს. ის აქციონერები, რომლებიც "დივიდენდის სააღრიცხვო თარიღის" დღის ბოლოსათვის ფლობენ საზოგადოების აქციებს, მიიღებენ დივიდენდს მათ მფლობელობაში არსებული აქციების წილის პროპორციულად.

5.2.2. იგივე აქციონერთა კრება ადგენს დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღს (შემდგომში "დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღი"). ამასთანავე, დივიდენდის გაცემის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საერთო კრების მიერ დივიდენდის გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან 6 თვეს, თუ საერთო კრების გადაწყვეტილებით უფრო მცირე ვადა არ არის დადგენილი.

5.3. თუ წლიური შედეგების მიხედვით საზოგადოების წლიური შემოსავლები არასაკმარისია ხარჯების დასაფარად, საზოგადოებამ უნდა განაცხადოს ზარალის თაობაზე. აღნიშნული ზარალი გადაიხდება საზოგადოების ფონდებიდან და გაუნაწილებელი შემოსავლიდან. თუ აღნიშნული ფონდები და გაუნაწილებელი შემოსავალი არასაკმარისია, ზარალი გადაიტანება შემდგომი ფინანსური წლისათვის.

მუხლი 6

საზოგადოების მართვა

6.1. საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

6.2. საზოგადოების საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ.

6.3. საზოგადოების ყოველდღიური საქმიანობის მენეჯმენტი ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული გენერალური დირექტორის მიერ.

მუხლი 7

აქციონერთა საერთო კრება

7.1 აქციონერთა საერთო კრების მოწვევა:

7.1.1. აქციონერთა რიგითი საერთო კრება მოწვეული უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ყოველწლიურად, სამეურნეო წლის დასრულებიდან არუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში.

7.1.2. რიგგარეშე კრება მოწვეულ უნდა იქნას გენერალური დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს, ან საზოგადოების აქციების სულ მცირე 5%-ის (ხუთი პროცენტის) მფლობელი აქციონერის (აქციონერების) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამ მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ. საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერის/აქციონერების წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების სააღრიცხვო თარიღი, მოწვევის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზი, აგრეთვე მისი დღის წესრიგი, რომელშიც ასახულია აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი.

7.1.3. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე და საზოგადოების ვებგვერდზე საერთო კრების ჩატარების თარიღამდე სულ მცირე 21 დღით ადრე.

7.1.4. ყოველი მომდევნო საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს 7.1.3 პუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ ვადაზე ადრე, თუ საერთო კრება მოიწვევა პირველი საერთო კრების მოწვევისთვის მოთხოვნილი კვორუმის არარსებობის გამო, პირველი საერთო კრება მოწვეულ იქნა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მის დღის წესრიგში დამატებული არ არის საკითხი. ამ შემთხვევაში ბოლო საერთო კრებისა და მომდევნო საერთო კრების თარიღებს შორის სულ მცირე 10-დღიანი შუალედი უნდა იყოს.

7.1.5. საერთო კრების სააღრიცხვო დღე არ უნდა იყოს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 30 დღით ადრე. 7.1.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის თარიღსა და სააღრიცხვო დღეს/თარიღს შორის უნდა იყოს არანაკლებ 6 დღე.

7.1.6. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია და ქვორუმი შემდგარია, თუ კრებას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა სულ მცირე ნახევარი. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადაში მოიწვევა ახალი კრება იგივე დღის წესრიგით. ახალი კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა სულ მცირე 25% (ოცდახუთი პროცენტი). თუ კრება კვლავაც არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადაში მოიწვევა ახალი კრება იგივე დღის წესრიგით. აღნიშნული კრება გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრე ან წარმოდგენილი აქციონერების რაოდენობის მიუხედავად.

7.1.7. აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; მისი არყოფნისას – თავმჯდომარის მოადგილე; ხოლო თავმჯდომარის მოადგილის არყოფნისას – გენერალური დირექტორი.

7.2. წარმომადგენლობა აქციონერთა საერთო კრებაზე:

7.2.1. აქციონერთა საერთო კრების სააღრიცხვო თარიღისათვის აქციონერთა რეესტრში რეგისტრირებული ყველა აქციონერი უფლებამოსილია დაესწროს კრებას და მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში.

7.2.2. აქციონერი უფლებამოსილია გადასცეს თავისი უფლებები სხვა აქციონერს, ან სხვა მესამე პირებს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ აქციონერის რწმუნებული პირი ვერ წარმოადგენს ამგვარ რწმუნებულებას, მას ჩამორთმეულ ექნება კრებაზე დასწრებისა და ხმის მიცემის უფლება.

7.2.3. წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინება ხდება წერილობით ან ელექტრონულად.

7.2.4. წარმომადგენელს აქვს საერთო კრებაზე სიტყვით გამოსვლისა და შეკითხვების დასმის იგივე უფლებები, რომლებიც მის მიერ წარმოდგენილ აქციონერს ექნებოდა.

7.2.5. წარმომადგენელი ვალდებულია გაამჟღავნოს აქციონერების მიერ იმ რისკის შესაფასებლად საჭირო ფაქტები, რომ წარმომადგენელმა შეიძლება განახორციელოს არა აქციონერის, არამედ სხვა პირის ინტერესები.

7.2.6. წარმომადგენელმა ხმა უნდა მისცეს მის მიერ წარმოდგენილი აქციონერის ინსტრუქციების შესაბამისად.

7.2.7. თუ რამდენიმე აქციონერის წარმომადგენელი ერთი და იგივე პირია, მას უფლება აქვს, სხვადასხვა აქციონერისთვის სხვადასხვაგვარად მისცეს ხმა.

7.3. აქციონერთა საერთო კრება განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე:

7.3.1. საზოგადოების წესდების დამტკიცება და შეცვლა (მათ შორის კაპიტალის, საფირმო სახელწოდების და ა.შ), საზოგადოების ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტა;

7.3.2. გადაწყვეტილების მიიღება რეორგანიზაციის შესახებ;

7.3.3. დაშლის, ლიკვიდატორის დანიშვნის, შუალედური და საბოლოო სალიკვიდაციო ბალანსების დამტკიცების შესახებ;

7.3.4. აქციათა გამოსყიდვის ნებართვის გაცემის შესახებ;

7.3.5. კაპიტალის ცვლილების შესახებ;

7.3.6. კაპიტალის გაზრდის დროს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების შესახებ;

7.3.7. მოგების გამოყენების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს ან გენერალური დირექტორის წინადადების მიღება ან უარყოფა, ან, როდესაც ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, გადაწყვეტილების მიღება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

7.3.8. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის, წევრების რაოდენობის, მათი არჩევის, ვადამდე გამოწვევის, ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის განსაზღვრის შესახებ;

7.3.9. გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

7.3.10. აუდიტის ანგარიშის დამტკიცებისა და აუდიტის განმახორციელებელი პირის შერჩევის შესახებ;

7.3.11. გადაწყვეტილებების მიღება სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალური დირექტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილების შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;

7.3.12. გადაწყვეტილებების მიღება საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების, გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან სხვაგვარად დატვირთვის შესახებ,

რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების მთლიანი აქტივების ღირებულების 50%-ზე (ორმოცდაათი პროცენტი) მეტს.

7.3.13. ფინანსური ანგარიშის დამტკიცებისა და დივიდენდის განაწილების შესახებ;

7.3.14. გადაწყვეტილებების მიღება კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.4. ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებებს, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში იღებენ სამეთვალყურეო საბჭო და გენერალური დირექტორი.

7.5. მუხლ 7.3-ში გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე ან წარმოდგენილ აქციათა 50%-ზე მეტის მფლობელების ხმა, გარდა 7.3.1, 7.3.2, 7.3.3, 7.3.4 და 7.3.5 პუნქტებით გათვალისწინებული საკითხებისა, რომლებზეც გადაწყვეტილებები მიიღება ხმების სულ მცირე 3/4-ის უმრავლესობით.

მუხლი 8

სამეთვალყურეო საბჭო

8.1. სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 3 (სამი) წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინიშნებიან და თავისუფლდებიან აქციონერთა საერთო კრების მიერ.

8.2. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა 3 (სამი) წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა მისი ამოწურვის შემდეგ ავტომატურად გრძელდება საერთო კრების ჩატარებამდე და ამ კრებაზე ახალი წევრების არჩევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება ახალი ვადით აირჩეს.

8.3. სამეთვალყურეო საბჭო მისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს. თავმჯდომარე (მისი არყოფნისას, თავმჯდომარის მოადგილე) იწვევს სხდომებს და ადგენს დღის წესრიგს.

8.4. სამეთვალყურეო საბჭომ სულ მცირე წელიწადში ერთხელ უნდა განიხილოს მთლიანად საბჭოს, ასევე მისი ცალკეული წევრის საქმიანობის შედეგები. .

8.5. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები უნდა გაიმართოს სულ მცირე კვარტალში ერთხელ მაინც, საზოგადოების მისამართზე ან ნებისმიერ სხვა ადგილას. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილობით, სავარაუდო დღის წესრიგთან ერთად სულ მცირე რვა დღით ადრე სხდომის მოწვევის სავარაუდო თარიღამდე. აუცილებლობის შემთხვევაში, თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს სხდომა ზეპირად ან სხვა გზით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შესაძლოა წარმოდგენილი იყვნენ სხვა წევრების ან მესამე პირების მიერ. ერთი წევრი შესაძლოა წარმოადგენდეს მხოლოდ ერთ წევრს.

8.6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მოსთხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა. ამ მოთხოვნაში უნდა მიეთითოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება.

8.7. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს გააჩნია ერთი ხმა. სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს სხდომაზე დამსწრე წევრების უბრალო უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოს განხილვაში დღის წესრიგის იმ საკითხზე, რომელთან დაკავშირებითაც ასეთ წევრს გააჩნია ინტერესთა შეუთავსებლობა (კონფლიქტი). იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ინტერესთა შეუთავსებლობა გააჩნია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, სამეთვალყურეო საბჭო ამგვარი საკითხის განსახილველად აირჩევს სხდომის ახალ თავმჯდომარეს.

8.8. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია წევრთა ნახევარზე მეტი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არაა უფლებამოსილი

გადაწყვეტილებების მისაღებად, თავმჯდომარეს (თავმჯდომარის არყოფნისას თავმჯდომარის მოადგილეს) შეუძლია, სამი დღის ვადაში, მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებისუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა არანკლებ 25 (ოცდახუთი) %-სა. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებისუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე იწვევს საერთო კრებას;

8.9. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა თანხმობით დასაშვებია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება სატელეფონო ან ვიდეო კონფერენციის მეშვეობით.

8.10. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებზე უნდა შედგეს ოქმი. ოქმი ხელმოწერილი უნდა იქნას თავმჯდომარის (ან მისი არყოფნის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოსნებისმიერი სხვა წევრის) მიერ. ოქმში უნდა დაფიქსირდეს სხდომის ადგილი და დრო, მონაწილეთა სია, დღის წესრიგი, სხდომაზე ჩატარებული განხილვის ძირითადი შინაარსი და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები.

8.11. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრს შეუძლია უარი თქვას წევრობაზე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისათვის ოთხი კვირით ადრე წარდგენილი წერილობითი მიმართვის საფუძველზე. წევრის გათავისუფლებიდან არაუგვიანეს ექვსი კვირისა, უნდა არჩეული იქნას სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი.

8.12. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია მოიცავს შემდეგს:

8.13.1. გენერალური/აღმასრულებელი დირექტორი(ები)ს ეფექტური შერჩევა, დანიშვნა, მისი (მათი) საქმიანობის მონიტორინგი და თანამდებობიდან გათავისუფლება და მასთან (მათთან) შრომითი კონტრაქტის დადება და შეწყვეტა;

8.13.1. საზოგადოებისთვის (სისტემისთვის) მკაფიო სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა.

8.13.2. საზოგადოებასთან (სისტემასთან) დაკავშირებული პოლიტიკ(ებ)ის, მათ შორს შრომის ანაზღაურების სათანადო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც შესაბამისია საუკეთესო პრაქტიკისა და ფოკუსირებულია გრძელვადიან მიღწევებზე, ასევე საზოგადოების (სისტემის) ფუნქციონირების დოკუმენტირებული პროცედურების/პროცესების შექმნა/ცვლილება/დანერგვა, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ინტერესთა კონფლიქტის ინდეტიფიცირებისა და თავიდან აცილების პროცედურა.

8.13.3. უზრუნველყოს დაცვის სამი მკაფიო და ეფექტური ხაზის არსებობა (ოპერაციები, რისკების მართვა და შიდა აუდიტი), რომლებიც ერთმანეთისგან განცალკევებულია და გააჩნიათ სათანადო უფლებამოსილება, დამოუკიდებლობა, რესურსები და სამეთვალყურეო საბჭოსთვის პირდაპირი მიმართვის შესაძლებლობა.

8.13.4. უზრუნველყოს, რომ ძირითადი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს საზოგადოების (სისტემის) ტექნიკურ და ფუნქციურ მოწყობაზე, წესებსა და საერთო სტრატეგიაზე და ასევე, გამოყენებული ტექნოლოგია და პროცედურები, სათანადოდ ასახავდეს დაინტერესებული მხარეების ლეგიტიმურ ინტერესებს, ამასთან აღნიშნულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით , საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეებთან წინასწარ გამართოს კონსულტაციები, მათ შორის თუ ეს აუცილებელია, საჯარო კონსულატაციები.

8.13.5. საზოგადოების საბუღალტრო აღრიცხვისა და მისი ქონებრივი ობიექტების შემოწმება, მათ შორის, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობის შემოწმება პირადად, ცალკეული წევრების ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით;

8.13.6. საზოგადოების საქმიანობის ანგარიშის (შვილობილ და მეკავშირე საწარმოებთან ურთიერთობის ჩათვლით) მოთხოვნა გენერალური დირექტორისაგან და დამოუკიდებელი შემოწმების შესახებ ინფორმაციის განხილვა;

8.13.7. გენერალური დირექტორის წლიური ანგარიშების და მოგების განაწილების წინადადების განხილვა;

8.13.8.საზოგადოების წარმოდგენა გენერალური დირექტორის წინააღმდეგ აღძრულ სასამართლო პროცესებზე. სამეთვალყურეო საბჭოს, თუ საკითხი ეხება მისი წევრის პასუხისმგებლობას, შეუძლია აღძრას სარჩელი გენერალური დირექტორის წინააღმდეგ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე ან მის საწინააღმდეგოდ.;

8.13.9. გენერალური დირექტორის მიერ მომზადებული და წარმოდგენილი წლიური ბიუჯეტისა და მოგება-ზარალის გეგმის, აგრეთვე საინვესტიციო გეგმის და გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შეფასების დამტკიცება.;

8.13.10. გადაწყვეტილებების მიღება კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.14. გენერალური დირექტორის ფუნქციები არ უნდა იქნას დელეგირებული სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე.

8.15. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

8.15.3. სხვა კომპანიებში წილებისა და აქციების შეძენა და გადაცემა, თუკი ამგვარი წილის / აქციების მოცულობა აღემატება ამგვარი კომპანიის მთლიანი კაპიტალის 50 (ორმოცდაათი) % ან გარიგების ღირებულება აღემატება წინა კალენდრული თვის დასასრულისთვის არსებულ საზოგადოების საბალანსო ღირებულების 1%-ს (ერთი პროცენტი);

8.15.4. უძრავი ქონების და ქონებრივი უფლებების შეძენა, გადაცემა და დატვირთვა, თუკი ამგვარი გარიგება სცილდება ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის სფეროს ან მისი ღირებულება აღემატება წინა კალენდრული თვის დასასრულისთვის არსებულ საზოგადოების საბალანსო ღირებულების 1%-ს (ერთი პროცენტი);

8.15.5. ფილიალების დაფუძნება და ლიკვიდაცია;

8.15.6. ინვესტიციები, რომლის ღირებულებაც, ცალკე ან ჯამში, აღემატება წინა კალენდრული თვის დასასრულისთვის არსებულ საზოგადოების საბალანსო ღირებულების 1%-ს (ერთ პროცენტს) თუკი ინვესტირება ხდება ახალ ბიზნეს საქმიანობაში, ან 2%-ს (ორ პროცენტს) თუკი ინვესტირება ხდება იმ ბიზნესში, სადაც "საზოგადოებას" უკვე განხორციელებული აქვს წარმატებული ინვესტიცია.

8.15.7. იმ ინვესტიციების დაბრუნება, რომლის ღირებულებაც, ცალკე ან ჯამში, აღემატება წინა კალენდრული თვის დასასრულისთვის არსებულ საზოგადოების საბალანსო ღირებულების 1%-ს (ერთ პროცენტს);

8.15.8. კრედიტების და სესხების აღება იმ ოდენობით, რომლის ღირებულებაც აღემატება წინა კალენდრული თვის დასასრულისთვის არსებულ საზოგადოების საბალანსო ღირებულების 2%-ს (ორ პროცენტს);

8.15.9. კრედიტების და სესხების უზრუნველყოფა, თუ ისინი სცილდება ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის სფეროს;

8.15.10. სამეურნეო საქმიანობის და წარმოების წამოწყება და შეჩერება;

8.15.11. სამეურნეო პოლიტიკის საერთო პრინციპების, ბიზნეს გეგმისა და საზოგადოების განვითარების სტრატეგიის დადგენა, წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;

8.15.12. საზოგადოების ხელმძღვანელობის ანაზღაურების და/ან დამატებითი სარგებლის განსაზღვრა, აგრეთვე მათთვის პენსიების დანიშვნა;

8.15.13. სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გათავისუფლება;

8.15.14. საზოგადოების საბალანსო ღირებულების განსაზღვრა;

8.15.15. საზოგადოების აქციათა დამოუკიდებელი რეგისტრატორის შერჩევა და მასთან ხელშეკრულების გაფორმება;

8.15.16. იმ შეთანხმების ან ხელშეკრულების (ხელშეკრულებების) დამტკიცება, რომლის შესაბამისად საზოგადოებისმიერ გაწეული ერთჯერადი ან რამოდენიმე ეტაპად გაღებული ხარჯი აღემატება წინა კალენდრული თვის დასასრულისთვის არსებულ საზოგადოების საბალანსო ღირებულების 1%-ს (ერთ პროცენტს);

8.15.17. საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება;

8.15.18. საზოგადოების მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (რაც, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, გულისხმობს სახაზინო აქციებსაც);

8.15.19. ნებისმიერი ახალი ოფისების გახსნა ან უძრავი ქონების მფლობელობასთან ან იჯარასთან დაკავშირებული უფლებების შეძენა ან გასხვისება;

8.15.20. სხვა ისეთი საქმიანობა, რომელიც შესაძლოა განსაზღვრული იყოს შესაბამისი კანონმდებლობით.

8.16. ამ „წესდების" მე-2 მუხლში მითითებულ საქმიანობაში საზოგადოების საბალანსო ღირებულების 25%-ზე (ოცდახუთი პროცენტზე) მეტის ინვესტირებისთვის საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრის თანხმობა.

მუხლი 9

გენერალური დირექტორი

9.1. გენერალური დირექტორი:

9.1.1. საზოგადოების ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება გენერალური დირექტორის მიერ, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. გენერალურ დირექტორთან ფორმდება სასამსახურეო ხელშეკრულება.

9.1.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში საზოგადოებას წარმოადგენს გენერალური დირექტორი, რომელსაც ენიჭება წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება.

9.2. საზოგადოების გენერალური დირექტორის უფლებამოსილება:

9.2.1. შესაბამისი კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მოთხოვნების, შეზღუდვებისა და აკრძალვების გარდა, გენერალური დირექტორის უფლებამოსილება შესაძლოა ექვემდებარებოდეს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ დებულებებს;

9.2.2. სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით გენერალურ დირექტორს შეუძლია დანიშნოს საზოგადოების გენერალური დირექტორის მოადგილე (მოადგილეები), მთავარი ბუღალტერი და სხვა პასუხისმგებელი თანამდებობის პირები.

9.2.3. გენერალური/აღმასრულებელი დირექტორ(ებ)ის პასუხისმგებლობები უნდა შეთანხმდეს სამეთვალყურეო საბჭოსთან.

9.2.3.1. საზოგადოების (სისტემის ოპერატორის) საქმიანობის მიზნებთან, სტრატეგიასთან და რისკების აპეტიტთან უზრუნველყოფას;

9.2.3.2. შიდა კონტროლისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების შექმნას, სათანადო იმპლემენტაციას და კონტროლს, რათა ხელი შეეწყოს საზოგადოების (სისტემის) ოპერატორის მიზნების მიღწევას.

9.2.3.3. რისკების კონტროლის პროცესში აქტიურ მონაწილეობას.

9.2.3.4. საზოგადოების (სისტემის) რისკების მართვისთვის საკმარისი რესურსები მობილიზებას.

9.3. საზოგადოების გენერალურმა დირექტორმა უნდა:

9.3.1. წარმართოს და განახორციელოს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობა;

9.3.2. წინასწარ განიხილოს საზოგადოების აქციონერთა ან სამეთვალყურეო საბჭოს კრებების დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხი, მოამზადოს სათანადო ინფორმაცია, წინადადებები და მათზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები;

9.3.3. ფინანსური წლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე მოამზადოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მომავალი წლის ბიზნეს გეგმა, რაც მოიცავს წლიურ ბიუჯეტსა და მოგება-ზარალის გაანგარიშებას, აგრეთვე საზოგადოების საინვესტიციო გეგმას.

9.3.4. უზრუნველყოს აქციონერთა და სამეთვალყურეო საბჭოს კრებების გადაწყვეტილებების შესრულება;

9.3.5. შეიმუშაოს საზოგადოების წესები, შინაგანაწესი და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მტკიცდება აქციონერთა და/ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ასევე უზრუნველყოს მათი შესრულება;

9.3.6. მიიღოს გადაწყვეტილებები პერსონალის შერჩევის, კვალიფიკაციის ამაღლების, დასაქმების, და ანაზღაურების საკითხებზე (იმ პირობით, რომ გენერალური დირექტორი გაითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს ზოგიერთ უმაღლეს თანამდებობის პირთან მიმართებაში);

9.3.7. უზრუნველყოს საზოგადოების საქმიანობის მიზნებთან, სტრატეგიასთან და რისკების აპეტიტთან შესაბამისობა;

9.3.8. უზრუნველყოს შიდა კონტროლისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების შექმნა, სათანადო იმპლემენტაცია და კონტროლი, რათა ხელი შეეწყოს საზოგადოების მიზნების მიღწევას;

9.3.9. უზურნველყოს რისკის მართვისა და შიდა აუდიტის მაღალკვალიფიციური პერსონალის მიერ შიდა კონტროლისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების რეგულარული შემოწმება და ტესტირება;

9.3.10. აქტიური მონაწილეობა მიიღოს რისკების კონტროლის პროცესში;

9.3.11. უზრუნველყოს სისტემის რისკების მართვისათვის საკმარისი რესურსებით მობილიზება;

9.3.12. გადაწყვიტოს ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც, დრო და დრო, შესაძლოა დაევალოს გენერალურ დირექტორს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ;

9.3.13. დაიცვას წინამდებარე „წესდებით“ და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

9.4. გენერალურ დირექტორს უფლება აქვს:

9.4.1. კოორდინაცია გაუწიოს საზოგადოების საქმიანობის მიმდინარე მართვას და წარმართოს ის;

9.4.2. სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ შესაძლო ნებართვისა და თანხმობის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად გააფორმოს კონტრაქტები;

9.4.3. სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით, საზოგადოების მუშაკებთან მიმართებაში, გამოიყენოს პრემიებით წახალისება და დააკისროს ჯარიმები თანახმად შინაგანაწესისა და დებულებებისა;

9.4.4. დანიშნოს და გაათავისუფლოს თანამშრომლები;

9.4.5. მოამზადოს ყველა აუცილებელი მასალა/მოხსენება და წარუდგინოს ის აქციონერთა კრებას და სამეთვალყურეო საბჭოს;

9.4.6. უზრუნველყოს აღნიშნული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება;

9.4.7. აწარმოოს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, აუცილებელი საზოგადოებისმიზნებისათვის, გარდა აქციონერთა კრებაზე და სამეთვალყურეო საბჭოზე დაკისრებული ფუნქციებისა.

9.5. გენერალურ დირექტორს აქვს საზოგადოების სრული წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება, მას უფლება აქვს იმოქმედოს საზოგადოების სახელით მინდობილობის გარეშე,

წარმოადგინოს საზოგადოება ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში ყველა სახელმწიფო ორგანოს ან სხვა მესამე მხარეების წინაშე და გასცეს მინდობილობები.

მუხლი 10

კონფიდენციალურობა

10.1. აქციონერები ერთმანეთის და საზოგადოების წინაშე იღებენ ვალდებულებას, რომ არასდროს გამოიყენებენ, გამოაქვეყნებენ, გაავრცელებენ ან განუცხადებენ რომელიმე პირს, გარდა საზოგადოებისიმ თანამდებობის პირებისა ან მუშაკებისა, ვის კომპეტენციაშიც შედის ან გენერალური დირექტორის მითითების თანახმად, ნებისმიერ კონფიდენციალურ ინფორმაციას საზოგადოებისსაქმიანობის, ხარჯების, ფინანსური ან საკონტრაქტო გარიგებების ან სხვა შეთანხმებების, ტრანზაქციების ან საქმიანი ურთიერთობების შესახებ, რომელიც შესაძლოა მათთვის ცნობილი გახდეს. მათ უნდა მიმართონ ყველა ზომას, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაციის გამოქვეყნება ან გაცხადება აღნიშნულ საკითხებზე, გარდა იმ ინფორმაციისა, რაც გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი რომელიმე აქციონერის მიერ მისი ვალდებულებების დაურღვევლად.

მუხლი 11

საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა

11.1. საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა ხდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2. საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა ხდება მისი რეორგანიზაციის (შერწყმის, გამოყოფის, გაყოფის, გარდაქმნის) ან ლიკვიდაციის გზით. საზოგადოების რეორგანიზაციის შემთხვევაში მისი ყველა უფლება და მოვალეობა გადაეცემა მის უფლებამონაცვლეს.

მუხლი 12

ფილიალები

12.1. საზოგადოებას შეუძლია დააარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ. ფილიალის შექმნა უნდა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13

დასკვნითი დებულებები

13.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის დღიდან.

13.2. თუ წესდების რომელიმე დებულება გახდა ბათილი, ეს გავლენას არ მოახდენს სხვა დებულებათა ნამდვილობაზე. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება წესი, რომელიც ძალაშია და რომლითაც უფრო იოლად მიიღწევა საზოგადოებისმიზანი.

13.3. წინამდებარე წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს მიენიჭებათ უპირატესობა წინამდებარე „წესდების“ დებულებებთან მიმართებაში.

13.4. საზოგადოების აქციონერებსა და მის ორგანოებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავის შემთხვევაში, რაც უკავშირდება წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ან წინამდებარე წესდების დებულებების განმარტებას, შესაბამისი მხარე უფლებამოსილია მიმართოს შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს.

13.5. წინამდებარე წესდება შედგენილია ორ თანაბარუფლებიან ეგზემპლარად.

სს „ჯორჯიან ქარდი“-ს აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე:

_____